პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 115 (7176)

17 ივნისი, ხუთშაბათი. 1982 წ.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

15 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი.

პლენუმის მუშაობის დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ალექსანდრეს ძე პატარიძის ხსოვნას.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. **შევარდნაძემ.**

მეორე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა.**

დღის წესრიგის გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადლეიბა,** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ნ. ვ. გურგენიძე,** ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი სოციალისტური შრომის გმირი **ბ. ი. ვაზაკიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე **ო. ვ. ვარძელაშვილი,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. რ. პაპუნიძე,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **გ. დ. მგელაძე,** მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე **ნ. ტ. ტაკიძე,** რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. ი. მოსაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი **ფ. ვ. ჯიოევი,** საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გ. დ. აგლაძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ხ. ვ. დურმიშიძე,** საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **რ. ა. ღვინჯილია,** ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე **ა. ა. ცინცაძე,** გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი **ხ. რ. უხუპოვა,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ნ. ორჯონიკიძე,** გორის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე **ვ. ი. ხუციშვილი,** სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი **ე. ხ. მალაზონია,** საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **უ. ა. ყარაულაშვილი,** საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნ. ი. რემიზოვა,** საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და ავტომატიზაციის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **შ. მ. ორჯონიკიძე,** ახალქალაქის რაიონის სულდის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ზ. ა. ტოროსიანი,** სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის“ გენერალური დირექტორი **ბ. მ. ჭყონია,** საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი **შ. ი. ჭალაგანიძე,** ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე **მ. შ. დემურია.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ვ. კ. მესიაცმა.**

დასასრულ გამოვიდა ამხანაგი ე. ა. **შევარდნაძე.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა საქართველოს მუშებისადმი, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის, კომუნისტებისა და კომკავშირელების, ყველა მშრომელისადმი.

პლენუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და მოწყობის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის შემადგენლობა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. ა. კონდრატიევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები **ა. ი. ხელეზნიოვი, ე. ი. კამაშევი, ა. ა. გრიშკევიჩი, ა. ა. საზონოვი.**

(საქინფორმი).

## შენი ჯანმრთელობა, შენს ხელთაა!

კვირას თბილისის პარკებსა და სპორტულ ბაზებზე მოეწყო მშრომელთა მასობრივი დასვენებისა და ფიზიკური გაკაჟების მორიგი დღე.

სურათებზე: დილის ტყე-პარკში სტარტი მიეცა შეჯიბრებას რბენაში; ნორჩი ველოსიპედისტები ორჯონიკიძის სახელობის პარკში.

(იხ. მე-2 გვ.).

## ახალგაზრდული თამაშები

## ცხრილი

მდგომარეობა 15 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| თბილისი | 13069,8 |
| აფხაზეთი | 6581 |
| ქუთაისი | 6397,5 |
| აჭარა | 6103 |
| რუსთავი | 3570,8 |
| ფოთი | 2695,8 |
| სამხრეთ ოსეთი | 1635,5 |
| ტყიბული | 1222,1 |
| ჭიათურა | 1046,1 |
| ზუგდიდი | 1042 |
| გორი | 1020 |
| წყალტუბო | 670 |

## იმედიანად ვართ

გვესაუბრება საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ველოსპორტში **შ. საბარეიშვილი.**

— ტრეკზე რბოლაში საკავშირო ახალგაზრდული თამაშების მზადებისას საგანგაშო თითქოს არაფერი გვაქვს, სპრინტსა და გამოდევნებით რბოლაში საპრიზო ადგილებსაც კი ვუმიზნებთ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი რიგზეა. პერიფერიებში ბევრი არაფერი კეთდება. თავად განსაჯეთ, რესპუბლიკურ თამაშებზე დედაქალაქის სპორტსმენებმა 381 ქულა დააგროვეს, მეორე პრიზიორები აფხაზეთის ველოსიპედისტები 185 ქულას დასჯერდნენ, რუსთავის ნაკრებმა კი მხოლოდ 75 ქულა დაიმსახურა, IV და V ადგილებზე ქუთაისისა (69) და აჭარის (26) კოლექტივები გავიდნენ.

თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ რესპუბლიკურ თამაშებში 12 ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობენ, ტრეკზე რბოლაში კი მხოლოდ 5 გუნდი გამოვიდა, ყველაფერი ნათელი იქნება.

არაფერს მოგვიტანს იმაზე წუწუნი, რომ ტრეკი თბილისის გარდა საქართველოში არსადაა და ველოსიპედისტებსაც ამის გამო ვერ ვამზადებთ. პრაქტიკამ მრავალგზის დაადასტურა, რომ სატრეკო რბოლაში წარმატებას უმეტესად აღწევენ ის სპორტსმენები, რომლებმაც ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გზატკეცილებზე გაიარეს. მაგალითისთვის თუნდაც ტრეკზე რბოლაში ოლიმპიური ჩემპიონების მანაკოევისა და კრასნოვის გახსენებაც გამოდგება, მათ ხომ ამას წინათ საერთაშორისო მრავალდღიან შეჯიბრებაში ღირსეულად დაიცვეს ჩვენი ქვეყნის სახელი.

(დასასრული მე-2 გვ.).

## XII მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

15. VI. პერუ — კამერუნი 0:0

15. VI. უნგრეთი — სალვადორი 10:1

15. VI. შოტლანდია — ახალი ზელანდია 5:2

დღეს თამაშობენ:

ჩილი — ავსტრია

ჩეხოსლოვაკია — ქუვეითი

იუგოსლავია — ჩრ. ირლანდია

ESPAÑA 82

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!




# ვინც ქალაქიდან ვერ გავა

**კვირაში** ორი დასვენების დღის სიკეთეს სულ უფრო ნაყოფიერად იყენებენ ჩვენი დედაქალაქის მშრომელები, რომლებიც ტურისტულ შეკრებებს აწყობენ ქალაქგარეთ, მიმართავენ სხვადასხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ნახავთ მშრომელებით, მათი ოჯახის წევრებით დატვირთულ ავტობუსებს, რომლებიც კოჯრის, კიკეთის, ბაზალეთისა და სხვა ადგილებისკენ მიემართებიან, ხალისიანად ატარებენ იქ დასვენების დღეებს, ეჯიბრებიან ერთმანეთს ტურისტულ მრავალჭიდში, მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, თევზჭერაში...

...მაგრამ ქალაქიდან გასვლას ყველა როდი ახერხებს, მილიონიან თბილისს ყველა სახის ტრანსპორტიც არეყოფოდა საამისოდ, ამიტომაც, ასე ვთქვათ, შინ დარჩენილთა დასახმარებლად მუდამ მზად არიან სპორტსაზოგადოებათა საბჭოები — დედაქალაქის ბაღ-პარკებში, წყალსაცავებზე, სპორტულ მოედნებზე მათი თაოსნობით ტარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ასე იყო გასულ კვირასაც: დიღმის მასივის ტყე-პარკში, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ფუნიკულიორზე, გამარჯვების პარკში, საცხოვრებელი მასივების სპორტულ მოედნებზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები. „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „კოლმეურნეს" და სხვა ორგანიზაციების დახმარება სულ უფრო ფართო აუდიტორიას წვდება.

დიღმის მასივის ტყე-პარკში სპორტკლუბ „უშბას" ასობით მშრომელი შეიკრიბა. ზოგი ბადმინტონით იქცევდა თავს, ზოგს მინიფეხბურთი და ფრენბურთი გაეჩაღებინა, სხვები მძლეოსნობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებული ინტერესი მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებამ გამოიწვია. ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომელთა კარგმა მსაჯობამ, რჩევა-დარიგებამ დიდს და პატარას აღუძრა ძალთა გამოცდის სურვილი.

„განთიადის" საქალაქო და ცენტრალური საბჭოებისა და ორჯონიკიძის სახელობის პარკის დირექციის ერთობლივი საზრუნავია ფიზიკური გაკაჟებისათვის ყველა პირობა შეუქმნან დამსვენებლებს, პარკში მოსულთა შორის ფართოდ გაშალონ სპორტის პროპაგანდა. „განთიადის" სპორტული სკოლების აღსაზრდელი ნორჩი მოკრივეების, აკრობატების, მოჭიდავეების, პირველი მაისის სახელობის რაიონის 22-ე და 29-ე სახლმმართველობის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების — „ჩიტაღნისა" და „ივერიას", 42-ე ბაგა-ბაღის პატარა ველოსიპედისტების ასპარეზობა დამსწრეთა მოწონებას იწვევდა. მათთვის, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, ორგანიზატორებს არაფერი დაუშურებიათ — პატარა ველოსიპედისტებს ალბათ სამუდამოდ დაამახსოვრდებათ პირველი სპორტული დიპლომები, რომლებიც აქ მიიღეს.

პენსიონერი **ნიკოლოზ ყუბანეიშვილი:** პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისთვის სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. წარმოიდგინეთ, ფიზკულტურამ მეც დამაინტერესა. ყოველ დილით ვვარჯიშობ და თავს შესანიშნავადაც ვგრძნობ. ის კი, რაც მე დღეს ამ პარკში ვნახე, შესანიშნავია.

**ეთერ გაბიტაშვილი** (მოსწავლე): ფიზკულტურა და სპორტი ჩვენს სკოლაშიც მეტად პოპულარულია. მეც მიყვარს იგი, განსაკუთრებით მიტაცებს რბენა და მაგიდის ჩოგბურთი და რაოდენ მიხარია, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბაღ-პარკებშიც სულ უფრო ხშირად ეწყობა ტურნირები ყველა ასაკის ადამიანთა მონაწილეობით...

და ეს ხალხმრავალი გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი მარტო დიღმის ტყე-პარკსა და ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში არ გამართულა. გლდანის, 26 კომისრის, საბურთალოს, კალინინის, დედაქალაქის სხვა რაიონებში მოეწყო ჯანმრთელობისა და საოჯახო სპარტაკიადები, საჩვენებელი და სააგიტაციო გამოსვლები.

კარგი ღონისძიება ტრადიციად უნდა იქცეს, ყოველ შაბათ-კვირას დედაქალაქში დარჩენილთათვის კვლავ უნდა მოეწყოს გამაჯანსაღებელი შეჯიბრებები.

**ო. გელაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გამართული ჯანმრთელობის დღის ფრაგმენტები. მარცხნიდან — ნორჩი მოკრივეები; საჭიდაო ხალიჩაზე; თამაშობენ 22-ე და 29-ე სახლმმართველობების ფეხბურთელები.

**რ. ქვარცხავას ფოტოები.**

## სპორტული დონის ამაღლების სურვილით...

**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისში მიმდინარეობდა მოსწავლეთა XXXVIII საქალაქო სპარტაკიადა სპორტის 23 სახეობაში, რომელშიც დედაქალაქის ცხრავე რაიონი მონაწილეობდა. ასპარეზობები ხელბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში ჩატარდა 3 ასაკობრივ ჯგუფში (უფროსი ასაკი — 1965-66 წლებში დაბადებულნი, საშუალო — 1967-68 წწ, უმცროსი — 1969-70 წწ). ჩათვლაში შედიოდა 5 სავალდებულო სახეობა: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, მშთ მრავალჭიდი და „იმედის სტარტები".

გამოვლინდნენ გამარჯვებულნი: I ადგილზე გავიდა ლენინის სახელობის რაიონი — 113,5 ქულა (განათლების განყოფილების გამგე რ. გურგენიძე, სპორტსკოლის დირექტორი დ. ჭაფოძე), II — ოქტომბრის რაიონი — 108,5 (ს. მელაძე, ტ. გელაშვილი), III — ორჯონიკიძის რაიონი — 105 (ლ. მნათობიშვილი, გ. გუგუშვილი).

შემდეგი ადგილები შესაბამისად ასე განაწილდა: IV. 26 კომისრის რაიონი (100 ქულა), V. პირველი მაისის რაიონი (99), VI. გლდანის რაიონი (82,5), VII. კალინინის რაიონი (81,5), VIII. საბურთალოს რაიონი (79), IX. კიროვის რაიონი (53,5).

— წლევანდელი სპარტაკიადა მასობრიობის ნიშნით წარიმართა — გვითხრა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსმა ა. გიორგობიანმა. — გასულ წელთან შედარებით გაიზარდა მოასპარეზეთა რიცხვი სპორტის ყველა სახეობაში, საერთო შედეგებიც ბევრად უკეთესია, მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა რაიონმა დათმო მოწინავე პოზიციები. მაგალითად, პირველი მაისის რაიონმა პირველიდან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, 26 კომისრის რაიონმა — მესამედან მეოთხეზე. თითო საფეხურით ჩამოქვეითდნენ, აგრეთვე, საბურთალო და კიროვის რაიონები. არ შეიძლება არ აღინიშნოს 92-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელთა და 121-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელთა მაღალი შედეგები „იმედის სტარტების" პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში (სკოლის დირექტორები რ. ძამოევი და ვ. აგანიანი, ფიზკულტურის მასწავლებლები ა. ავდოევი და ი. ასლანოვი). მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება ნორმატივების ჩაბარებაშიც. წლევანდელი სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში შესრულდა სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები.

სპარტაკიადა დამთავრდა, გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ, ამგვარი სპორტული ასპარეზობების ორგანიზატორებს კი საზრუნავს რა გამოულევს — მომავალმა შეჯიბრებებმა კიდევ უფრო უნდა აამაღლოს მონაწილეთა სპორტულ-ტექნიკური დონე, გაზარდოს მასობრიობა, ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულთა რიცხვი.

**ნ. ჯოხარიძე.**

## III ახალგაზრდული თამაშები

# იმედიანად ვართ

დასასრული

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ჩატარებულმა ასპარეზობამ მაღალ დონეზე ჩაიარა და ახალი სიხარული მოგვიტანა. 16 წლის „შრომითი რეზერვების" სკოლის აღზრდილი ოთარ მჭედლიშვილი (მწვრთნელი ო. დადუნაშვილი) ერთ კილომეტრზე გიტში სპორტის ოსტატობის კანდიდატის სახელით ჩაება და როცა ტურნირი დამთავრდა, მას ყველა ულოცავდა სპორტის ოსტატის წოდების მოპოვებას. ოთარმა მანძილი 1.08,3-ში დაფარა, საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი გააუმჯობესა და I ადგილი დაისაკუთრა. მან ჩამოიტოვა ახალგაზრდული ნაკრების წევრები, გამოცდილი სპორტის ოსტატები თბილისის „დინამოდან" მერაბ სურმავა (1.08,4) და ჯიმშერ მუზაშვილი (1.09,3).

სურმავას ბადალი არ ჰყავდა სპრინტში. იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ზამთრის ჩემპიონი ემზარ გელაშვილი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მილანში იმყოფებოდა, სურმავას ჩემპიონობისათვის ბრძოლა გაუადვილდა და მიზანსაც მიაღწია. თამაშების მეორე პრიზიორი გახდა ოსტატი იური გუმაშიანი („განთიადი"), მისი თანაგუნდელი ვალერი სიროვატკინი „ბრინჯაოს" დაეუფლა. ქვეყნის ნაკრების მეორე წევრმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა იური კაზაკოვმა („განთიადი") ასპარეზობას, როგორც იტყვიან, „ბეწვზე ჩამოუსწრო" და მხოლოდ 4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში სცადა ძალა. გაიმარჯვა თბილისის I კოლექტივმა, რომელშიც კაზაკოვთან ერთად ავთანდილ მიქუჩაძე („კოლმეურნე"), გოჩა მუმლაური („ბურევესტნიკი") და დინამოელი ოსტატობის კანდიდატი გენადი გოდუნოვი გამოდიოდნენ — 4.32,3, რაც საათში 53,041 კმ სისწრაფეს უდრის. ეს მაღალი შედეგია. თბილისის II გუნდი, რომელიც ძალებს კონკურსგარეშე ცდიდა, მას 0,4 წამით ჩამორჩა.

ერთი შეჯიბრებისთვის 2 ახალი სპორტის ოსტატის მომზადება კარგ მოსავლად უნდა ჩაითვალოს. ვფიქრობთ, სულ მალე გოდუნოვი და მჭედლიშვილი ტოლს არ დაუდებენ ქვეყნის უძლიერეს მრბოლებს. მინდა ქებით მოვიხსენიო სოხუმელი გიორგი გალავანიშვილიც, რომლის ფიზიკური მონაცემები ბევრს გვპირდება.

რაც შეეხება საკავშირო სპორტულ თამაშებს, იქ ალბათ ერთგვარად შესუსტებული შემადგენლობით გამოსვლა მოგვიწევს, ვინაიდან სურმავა მიწვეულია იუნიორთა საკავშირო ნაკრებში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში (იტალია) გამოვა. ქვეყნის ნაკრებში დამკვიდრების შანსი აქვს მიქუჩაძესაც. ამ საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს ერევნის საკავშირო შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც 20 ივნისს დაიწყება.

შედგა საქართველოს ნაკრები, რომელიც საკავშირო თამაშებისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს. გუნდის წევრები ამ პერიოდში დროდადრო სხვადასხვა სტარტებში შეამოწმებენ ძალებს, მაგალითად, 17 ივნისს ტალინში საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვლენ, მერე იქვე ჩაებმებიან საკავშირო საუწყებო ასპარეზობაში...

* * *

თამაშების სხვა შედეგები: **4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა:** ა. მიქუჩაძე — 4.58,5, ს. კუკლენკოვი (აფხაზეთი) — 4.59,5, მუმლაური — 5.01,9. **100 წრეზე ჯგუფური რბოლა:** ს. რეშეტოვი — 41 ქულა, სიროვატკინი — 28, გოდუნოვი — 26.

**ჭ. ჯიმშელაძე.**

## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### იუბილეს ეძღვნება

**ვოლგის** ავტოქარხნისა და ჟურნალ „ზა რულიომის" რედაქციის ინიციატივით ეწყობა სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი ავტოექსპედიცია, რომლის მონაწილეები მორდოვეთის, ჩუვაშეთის, მარის, თათართა, უდმურტთა და ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკების გზებზე 4000-ზე მეტ კილომეტრს გაივლიან. რუსეთის ამ ოდესღაც ჩამორჩენილ რაიონებში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეიქმნა უდიდესი საავტომობილო მრეწველობა, ავტოტრანსპორტის გაერთიანებები, მოეწყო შესანიშნავი გზატკეცილები... ლაშქრობის მონაწილენი დაათვალიერებენ საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებულ ადგილებს, კამის საავტომობილო გიგანტს, იჟევსკის, ნიჟნეკამსკის ქარხნებს. ექსპედიცია ეწყობა „ჟიგულის" მარკის ვაზ — 2107 მანქანებით, რომლის გამოშვება ტოლიატის ქარხანამ წლეულს დაიწყო.

### ლუზა — სახმელეთო ქალაქში

**ნაპირზე** კი არა, სახმელეთო ქალაქ ხარკოვში „ჩაუშვა" ღუზა „ფრეგატამ" — ვ. მალიშევის სახელობის ქარხნის იახტკლუბმა. მართლაც, ეს კლუბი წყლიდან საკმაოდ შორსაა. იგი განლაგებულია ქარხნის მიკრორაიონის ერთ-ერთ საცხოვრებელ უბანში. ეს ნახევრად სარდაფი, რომელსაც ადრე არავინ იყენებდა, სპორტსმენებმა მოაწესრიგეს, აღჭურვეს ისე, როგორც კაიუტკომპანიას შეეფერება და ახლა აქ ყველა საზღვაო ატრიბუტი და საზღვაო ლიტერატურის შესანიშნავი ბიბლიოთეკა აქვთ. მისი ბინადარნი თვითონ ამზადებენ აფრებს. იახტკლუბი სხვადასხვა კლასის ასამდე ნავს ითვლის.

ვ. მალიშევის სახელობის ქარხნის ფიზკულტურელები საბჭოთა კავშირის 60 წლის თავის იუბილეს სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან: კლუბის სამმა წევრმა სპორტის ოსტატობა მოიპოვა, ცხრამ შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი, 30 პირველთანრიგოსანი გახდა.

### მოგზაურობა ჯანმრთელობის ქვეყანაში

**30 ათასამდე** ადამიანი მონაწილეობდა მძლეოსნურ კროსში, რომელიც ჩატარდა სახელწოდებით „მამა, დედა და მე — სპორტული ოჯახი". აშხაბადის ბაზებზე გამართულ ამ „მხიარულ სტარტებში", რომლის პროგრამაში იყო ბაგირის გადაძალვა, საწონების აწევა, ეროვნული თამაში „იაგლიგა ტოუსმაკი", ყველა ხალისით მონაწილეობდა.

აშხაბადში ხშირად ტარდება მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სხვა ღონისძიებებიც, ეწყობა მასობრივი გასვლები ქალაქგარეთ, მაგრამ მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მუშავდება ახალი ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. (საკდესი).

ESPAÑA 82 ESPAÑA 82 ESPAÑA 82

# შოტლანდიელებმა გამარჯვებით დაიწყეს

**მსოფლიო** ჩემპიონატის მესამე დღეს ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო ქ. მალაგისკენ, სადაც ძრომანეთს ხვდებოდნენ VI ჯგუფის წარმომადგენლები — შოტლანდიისა და ახალი ზელანდიის ფეხბურთელები, სსრ კავშირის ნაკრების მომავალი მეტოქეები.

ამ მატჩში სიურპრიზს არავინ ელოდა, ვინაიდან შოტლანდიელი ფეხბურთელები კლასითაც და გამოცდილებითაც მეტოქეზე უფრო ძლიერნი არიან, მით უმეტეს, რომ ახალზელანდიელებს აკლდათ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, 23 წლის ნახევარმცველი გრანტ ტარნერი, რომელიც საწვრთნელი მატჩის დროს დაშავდა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. დასაწყისში შოტლანდიელთა რამდენიმე იერიში უნაყოფოდ დამთავრდა, მაგრამ მე-17 წუთზე დალგლიშმა პირველად აიღო ახალზელანდიელთა კარი, მერე კი უარკმა ანგარიში აიყვანა 3:0-მდე.

და, მაინც, საქმე შეიძლება სიურპრიზამდე მისულიყო, როცა 54-ე წუთზე სამნერმა პირველი გოლი გაქვითა, შემდეგ კი ვუდინმა მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა ანგარიშში — 2:3. ახალზელანდიელები დიდი ენთუზიაზმით თამაშობდნენ, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. შესამჩნევი იყო, რომ გუნდი ნელ ტემპში მოქმედებს, იშვიათია სწრაფი გარღვევები, მოულოდნელი გადაცემები. შოტლანდიელებმა მალე გამოასწორეს მდგომარეობა და რობერტსონისა და არჩიბალდის ზუსტი დარტყმების შემდეგ გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2.

ქ. ელჩეში თამაშობდნენ უნგრეთისა და სალვადორის გუნდები. რა თქმა უნდა, სალვადორელთა რაიმე შანსზე ლაპარაკიც არ ყოფილა, მაგრამ ანგარიში 10:1 კი ნამდვილად შეუფერებელია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური, გადამწყვეტი ეტაპის მატჩებისთვის. უნგრელებმა არსებითად ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაინაღდეს გამარჯვება (3:0), შესვენების შემდეგ კი კიდევ უფრო ნათლად ცხადყვეს თავიანთი დიდი უპირატესობა. 4 ბურთი გაიტანა ნილაშიმ, 2 — ფაზეკაშმა, თითო — პოლოსკეიმ, ტოტმა, შენტეშმა და კიშმა. ერთადერთი საპასუხო გოლი 65-ე წუთზე გაიტანა სალვადორელმა როდრიგესმა, როცა ანგარიში უკვე იყო 5:0 უნგრელთა სასარგებლოდ.

ლა-კორუნიაში ფრედ ითამაშეს პერუსა და კამერუნის გუნდებმა — 0:0.

სურათებზე: (ზევით) შოტლანდიისა და ახალი ზელანდიის გუნდების მატჩი; ახალზელანდიელ ს. სამნერს გააქვს ბურთი შოტლანდიელთა კარში; პერუსა და კამერუნის გუნდების შეხვედრის მომენტი.

აპ-საკდესი-საქინფორმის ფოტო.

## ყველაზე უფრო...

● იტალიის ნაკრების მეკარე დინო ძოფი ყველაზე ხნიერი ფეხბურთელია მსოფლიო ჩემპიონატზე — იგი 40 წლისაა.

● ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია ახალზელანდიელი უინტონ რაფერი — 18 წლის.

● მწვრთნელთა შორის ყველაზე ხნიერია ბრაზილიელი ტიმი, რომელიც პერუს ნაკრებს ხელმძღვანელობს. იგი 71 წლისაა.

● ყველაზე „ხანდაზმულია" ინგლისის გუნდი: მისი მოთამაშეების საშუალო ასაკია 28 წელი.

● ყველაზე ახალგაზრდული გუნდები ჰყავთ სსრ კავშირს და ქუვეიტს — 24-24 წლისა.

● ყველაზე დიდი სტადიონია ბარსელონაში, რომლის ტრიბუნები იტევს 132 ათას მაყურებელს. ყველაზე პატარაა ქ. ვალიადოლიდისა — 30 ათასი.

● ბრაზილიელ ფეხბურთელებს 5 რეკორდი აქვთ: ისინი 11-ჯერ მონაწილეობდნენ ფინალურ ტურნირებში, ჩაატარეს 52 მატჩი, გაიტანეს 119 ბურთი, მოიგეს 33 მატჩი და სამჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

## საბჭოთა მწვრთნელი მომავალ მეტოქეთა შესახებ

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა უფროსი მწვრთნელი კ. ბესკოვი ყურადღებით ადევნებდა თვალს შოტლანდიისა და ახალი ზელანდიის გუნდების თამაშს ქ. მალაგაში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან აღნიშნა, რომ თამაშის შედეგი სრულად ასახავს ძალთა შეფარდებას, ორივე გუნდი ე. წ. ბრიტანული სტილის მიმდევარია, მაგრამ შოტლანდიელთა კლასი უფრო მაღალია, მათ შემადგენლობაში არიან საფეხბურთო სამყაროში ცნობილი მოთამაშეები დალგლიში, საუნესი, ჰანსენი, არჩიბალდი, უარკი. ისინი ინგლისის ცნობილ პროფესიულ კლუბებში გამოდიან და ახლა შოტლანდიელთა ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ. საგანგებო ყურადღებას მოითხოვს საუნესი, რომელიც თავისი გუნდის დისპეტჩერია.

კ. ბესკოვმა აღნიშნა, რომ შოტლანდიელთათვის დამახასიათებელია მოკლე გადაცემები, ხშირი გამჭოლი ბურთები კარის წინ, მაღალი ბრძოლისუნარიანობა. მათმა მეტოქეებმა, უბრალოდ, ვერ გაუძლეს მაღალ ტემპს, რომელთაგან გამოვყოფ თავდამსხმელ ვუდინს და მეკარე ვან ჰატუმს.

ახალზელანდიელთა მწვრთნელმა ჯ. ედმუნდმა აღნიშნა, რომ მისი გუნდი დიდ იმედებს არ ამყარებდა შოტლანდიელებთან მოგებაზე, მაგრამ სურდა დაემტკიცებინა, რომ შეუძლია მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს ცნობილ მეტოქეებს და შეძლო კიდეც ეს.

— ახლა, — თქვა ედმუნდმა, — შევეცდებით წარმატებით ვითამაშოთ სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდებთან.

საბჭოთა ფეხბურთელები ცხოვრობენ მალაგიდან 81 კილომეტრის დაცილებით, აქვთ შესანიშნავი საფეხბურთო მინდორი, მიმდინარეობს ინტენსიური ვარჯიში.

კ. ბესკოვმა განაცხადა, რომ ფეხბურთელები კარგად გრძნობენ თავს, თუმცა ხიდიატულინს ტრავმა აქვს, ვერ ვარჯიშობს და მისი მონაწილეობა ჩემპიონატის მატჩებში პრობლემატურია.

საბჭოთა სპორტულმა დელეგაციამ თან ჩამოიტანა კინოფილმების, საესტრადო ანსამბლების ვიდეოჩანაწერები, მათთან სტუმრად იყვნენ ცნობილი მსახიობები ე. ლეონოვი და მ. ნოკინი, წვრთნისგან თავისუფალ დროს ფეხბურთელები ერთობიან, უყურებენ ჩემპიონატის ტელეგადაცემებს, ემზადებიან მომავალი ბრძოლებისთვის.

## ჩემპიონატისათვის შეუფერებელი მსაჯობა

### რას წერს „პრავდა"

„პრავდის" სპეციალური კორესპონდენტები ლ. ლებედევი და ვ. ჩერნიშოვი ესპანეთის ქალაქ სევილიაში დაესწრნენ საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრების გამოსვლას მსოფლიო ჩემპიონატზე. ისინი წერენ ბრაზილია — სსრ კავშირის მატჩის რამდენიმე ეპიზოდის შესახებ:

„...მე-18 წუთზე საბჭოთა გუნდს შეექმნა გოლის გატანის რეალური შანსი. ბურთი მიიღო რ. შენგელიამ, შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მის წინ მხოლოდ მეკარე იყო და, თუმცა, გვერდით იმყოფებოდა მცველი ლუიზინიო, მას აღარ შეეძლო ხელი შეეშალა დარტყმისთვის. მაგრამ დარტყმა არ შედგა.

— როგორც კი მოვიქნიე ფეხი კარში დასარტყმელად, ბრაზილიელმა ხელით შემაჩერა და წამაქცია. — გაგვიმარტა შემდგომში ეს ეპიზოდი თვით რ. შენგელიამ.

როგორ მოიქცა ესპანელი მსაჯი ლ. კატსილია? მან არ დასტვინა, სამაგიეროდ, აღშფოთებული ყიჟინით აფეთქდა სტადიონი. ეს რომ ყოფილიყო არბიტრის ერთადერთი, თუნდაც, უხეში შეცდომა, ალბათ, არც ღირდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მას მოჰყვა ახალი შეცდომები. ბრაზილიელთა კარში რომ 11-მეტრიანი არ დანიშნა, როცა ბურთი ა. ჩივაძეს მოხვდა ხელში, კასტილიამ „აპატია" ჩვენს გუნდს. მაგრამ შემდეგ „ვერ შეამჩნია" როგორ შეაჩერა ლუიზინიომ ხელით ბურთი თავის საჯარიმო მოედანზე გადაცემისას. მატჩის შემდეგ ამ მსაჯობის „უცნაურობებზე" ლაპარაკი ნაკლები როდი იყო, ვიდრე თვით თამაშის შესახებ. განა დასაშვებია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ასე ამახინჯებდეს მსაჯი თამაშს?

ყველა ესპანურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ვრცელი რეპორტაჟები ამ შეხვედრის შესახებ. მაგალითად, „კორეო დე ანდალუსიამ" სათაურით „ბრაზილიამ გაიმარჯვა, მაგრამ მსაჯმა დიდად ავნო რუსებს" პირველ გვერდზე მოათავსა იმ მომენტის დიდი სურათი, სადაც ლუიზინიო მიწაზე აქცევს შენგელიას. გაზეთი წერს: „ამ შესანიშნავ მატჩში, სადაც ბრაზილიელებს დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ თავიანთი გულშემატკივრების მრავალრიცხოვანი ამალისგან, რუსებმა კი სევილიელთა სიმპათია მოიხვეჭეს, ესპანელმა მსაჯმა ლ. კასტილიამ სამწუხარო როლი იტვირთა, როცა არ დანიშნა ორი პენალტი ბრაზილიელთა მხარეს და ერთი, თუმცა, არც ისე აშკარა, საბჭოთა გუნდის კარში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა შეხვედრის საბოლოო შედეგზე".

### რას წერენ უცხოეთის გაზეთები

**საერთაშორისო** პრესა კვლავ ფართოდ აშუქებს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობას, ვრცელ კომენტარს უკეთებს მატჩებს, მათ შორის სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრას, ხაზს უსვამს იმ დასანან შეცდომებს მსაჯობაში, რომლებიც არ უნდა ხდებოდეს.

ესპანური გაზეთი „ოხა დელ ლუნესი" აჭრელებულია ასეთი სათაურებით: „სირცხვილი კასტილიოს", „გადაიყვანეთ მსაჯი მეორე ჯგუფში" (ეს გულშემატკივართა ყველაზე დამცინავი შეძახილია არბიტრისთვის). „ასეთ მსაჯს, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ჰქონდეს მსოფლიო ჩემპიონატზე". — წერს ამ გაზეთის სპორტული მიმომხილველი.

თითქმის ყველა ბრაზილიური გაზეთი აღიარებს ბრაზილია — სსრ კავშირის მატჩის მსაჯის მიკერძოებას. „ღმერთი ბრაზილიელთა მხარეს იყო და, აგრეთვე, არბიტრიც". — ირონიულად შენიშნავს „ჟურნალ დუ ბრაზილი". ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ჟ. სალდანიამ აღნიშნა: „არბიტრი ჩვენს სასარგებლოდ ცდებოდა. შეიძლებოდა წაგვეგო კიდეც".

„მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის დონის შესაფერისი იყო". — ასე დაახასიათა ეს შეხვედრა ავსტრიის საინფორმაციო სააგენტომ. ერთადერთი სუსტი მონაწილე სევილიის სტადიონზე გამართულ ამ გრანდიოზულ სპექტაკლში, აღნიშნავს სააგენტო, რასაკვირველია, იყო ესპანელი მსაჯი კასტილიო.

„ბრაზილიამ საბჭოთა ნაკრები დაამარცხა მსაჯის შემწეობით" — ასეთი სათაურით მოათავსა სევილიის სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა". იტალიური პრესა, ფეხბურთის მიმომხილველები თითქმის ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ესპანელი არბიტრი უხეში შეცდომებით მსაჯობდა. კასტილიომ საბჭოთა გუნდი „დასაჯა", როცა ორი პენალტი არ დანიშნა ბრაზილიელთა კარში". — ასკვნის „კორიერე დელა სერა".

„ბრაზილიელები ცეკვავენ სამბას", „საბჭოთა გუნდი მოატყუა მსაჯმა" — ასეთი სათაურები გამოაქვეყნეს მატჩის შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაზეთებმა.

ინგლისური გაზეთი „გარდიანი" წერს: „მატჩის მსვლელობისას დიდხანს ისე ჩანდა, რომ ბრაზილიელები, რომლებსაც მეოთხე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ მსოფლიო პირველობაზე, აგებდნენ პირველ მატჩს თავიანთ ჯგუფში, მაგრამ ეს არ მოხდა, ჯერ ერთი, ბრაზილიელთა ბრწყინვალე თამაშის გამო მეორე ტაიმში და იმ გაუგებარი პოზიციის გამოისობით, რომელიც ესპანელმა მსაჯმა კასტილიომ დაიკავა".

ლონდონის „ტაიმსს" მიაჩნია, რომ უშუალოდ შეხვედრის შედეგზე იმოქმედა მსაჯის, სულ ცოტა, ერთმა გადაწყვეტილებამ არ დაენიშნა 11-მეტრიანი ბრაზილიელთა კარში.

ბელგრადის გაზეთმა „სპორტმა" მკითხველთა ყურადღება მიაპყრო იმ ამბავს, რომ კასტილიომ აშკარა პენალტი არ დანიშნა მე-18 წუთზე, როცა შენგელია მოცელეს ბრაზილიელთა საჯარიმო მოედანზე. გაზეთი „პოლიტიკა ექსპრესი" მიიჩნევს, რომ მატჩი მიმდინარე ტურნირის ფინალის ღირსი იყო და აღნიშნავს, რომ ესპანელმა მსაჯმა „დაანგრია" საბჭოთა გუნდი.

### დღეს ტელევიზიით:

დღეს საქართველოს ტელევიზიით (I პროგრამა) ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან ვნახავთ შემდეგ გადაცემებს:

9 ს. 45 წ. ინგლისი — საფრანგეთი (გამეორება).

11 ს. 20 წ. გფრ — ალჟირი, II ტაიმი (გამეორება).

22 ს. 35 წ. ჩეხოსლოვაკია — ქუვეიტი.

ESPAÑA 82 ESPAÑA 82 ESPAÑA 82

## ● სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# მთავარი მწვრთნელის აზრით

**როგორც** ცნობილია, ამ დღეებში ორჯონიკიძეში გაიმართა საბჭოთა კავშირის 38-ე საუწყებო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. სხვადასხვა სპორტსაზოგადოების ნაკრებ გუნდებში ჩვენი რესპუბლიკის 15 მოჭიდავე ასპარეზობდა.

ორჯონიკიძეში თავი მოიყარეს ქვეყნის უძლიერესმა ფალავნებმა — სარბიელზე გამოვიდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების 19 ჩემპიონი, 52 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 13 სპორტის დამსახურებული ოსტატი. თითქმის ყველა წონით კატეგორიაში 5-6 თანაბარი ძალის მოჭიდავე იყო. გამონაკლისი არც 68 კგ ყოფილა, სადაც გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად მსოფლიოს ჩემპიონ მ. ხარაჩურას ასახელებდნენ. ჟდანოველმა მოჭიდავემ დამაჯერებლად ჩაატარა წინასწარი შეხვედრები და ფინალში გავიდა. II ქვეჯგუფში I ადგილი თბილისელმა დ. გიგაურმა დაიკავა და ხარაჩურას პირისპირ დადგა. როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი ორთაბრძოლა მეტად საინტერესო, დაძაბული გამოდგა. ქართველმა მოჭიდავემ თავიდანვე აქტიურად შეუტია გამოცდილ მეტოქეს და ორი ქულა აართვა. გიგაურმა ამის შემდეგ ტაქტიკურად სწორად წარმართა შეხვედრა, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა და პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ჩემპიონი 24 წლისაა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტია, 10 წელია რაც ჭიდაობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მ. ოსიყმაშვილის ხელმძღვანელობით.

ამ წონის მოჭიდავეთა შეჯიბრების დამთავრებისთანავე კომენტარი ვთხოვეთ საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ი. იარიგინს:

— გიგაურმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა, არადა ამ წონაში ფავორიტები ბლომად იყვნენ — ხარაჩურა, ოლიმპიური ჩემპიონი აბუშევი და ევროპის ჩემპიონი ბუდაევი. გიგაურმა ტოლი არ დაუდო ტიტულოვან მეტოქეებს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. წლევანდელი სპორტული სეზონი ამ მოჭიდავემ შთამბეჭდავად დაიწყო, როცა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი გახდა. გიგაური ტაქტიკურად და ტექნიკურად კარგად არის მომზადებული, სწორად ანაწილებს ძალებს და თუ მსოფლიო ჩემპიონატის წინ (აგვისტო, იუგოსლავია) ასეთ სპორტულ ფორმაში იქნა, აუცილებლად ვანდობთ ჩვენი გუნდის ღირსების დაცვას ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში. საერთოდ, ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლაზე თუ ვილაპარაკებთ, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული წინსვლა იგრძნობა — გამოჩნდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეები. თუმცა საქართველოდან უფრო საიმედო ცვლას ველით. აქვე ერთიც მინდა ვთქვა: წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი თბილისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რატომღაც უარი გვითხრეს მასპინძლობაზე.

74 კგ წონაში გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა თბილისელ გ. მაკასარაშვილს, მაგრამ გროზნოელ რ. ბადალოვთან შეხვედრისას შეცდა და 1 ქულის სხვაობით დამარცხდა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი მაკასარაშვილს თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვია — მოუგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ტ. მაჰამედოვს (როსტოვი) და III ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედალი გადაეცა აგრეთვე ევროპის ჩემპიონს, სოხუმელ რ. ხუტაბას (100 კგ). ხუთი წრის შემდეგ ქვეჯგუფში ასპარეზობას 3 მოჭიდავე შემორჩა — ოლიმპიური ჩემპიონი ი. მატე, მსოფლიო ჩემპიონი მ. მაჰომედოვი და რ. ხუტაბა (სამივე სპორტსმენს თითო წაგება ჰქონდა). ქულების უკეთესი შეფარდებით გამარჯვება მატეს მიეკუთვნა და ფინალშიც ის გავიდა. ხუტაბამ ნახევარფინალური შეხვედრა იოლად მოუგო ლენინგრადელ ს. ზარანდიას.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯ. ტარიელაძემ (მძიმე წონა). ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ, იგი მხოლოდ ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ს. ხასიმიკოვს (მოსკოვი) და ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავა. III ადგილისთვის ბრძოლაში მისი მეტოქე ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ორჯონიკიძელი ს. ანდიევი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ტრავმა მიიღო და საასპარეზოდ ვერ გამოვიდა. ჯ. ტარიელაძე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

III ადგილის მოპოვების შანსი ჰქონდა აგრეთვე თბილისელ გ. ქენქაძეს, მაგრამ მახაჩყალელ გ. იახიევთან ნახევარფინალური შეხვედრისას ორივე სპორტსმენს პასიურობისათვის წაგება ჩაეთვალა. III ადგილი კი მსაჯებმა იახიევს მიაკუთვნეს. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა არბიტრებმაც ტენდენციურად იმსაჯეს. ამის შესახებ იმსჯელა მსაჯთა კოლეგიამ და მსაჯობიდან მოხსნა არბიტრთა ბრიგადა, მაგრამ გ. ქენქაძე მაინც IV ადგილზე დარჩა. ასეთივე შედეგი აჩვენა ზ. წოწორიამ (48 კგ). თავიანთ შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად იასპარეზეს ე. წიქარიძემ, მ. რაზმაძემ, ნ. როსტომაშვილმა, მ. ხითარიძემ, მ. ხურციძემ და გ. ყურაშვილმა, რომლებიც უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდნენ. პირველივე წრეში ტრავმა მიიღეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ სოხუმელი ა. ჰკოკი და თბილისელი ლ. ხაბელოვი.

ჩვენმა მოჭიდავეებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში უკრაინის, რსფსრ-სა და მოსკოვის კოლექტივების შემდეგ IV ადგილი დაიკავეს, რაც დამაკმაყოფილებელ შედეგად უნდა ჩაითვალოს. მალე დაიწყება III საკავშირო ახალგაზრდული თამაშები, ერთი წლის შემდეგ კი სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის VIII სპარტაკიადა. რესპუბლიკის ჭიდაობის ფედერაცია და მწვრთნელთა საბჭო ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ქართველი ფალავნები სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ ამ შეჯიბრებებს.

**ტექნიკური შედეგები**

**48 კგ.** ს. კორნილაევი (მოსკოვი, „ტრუდი"), ს. კარამჩაკოვი (კრასნოიარსკი, „შრომითი რეზერვები"), ვ. გოგოლევი (იაკუტსკი, შეიარაღებული ძალები).

**52 კგ.** ტ. მამედოვი (ხარკოვი, „კოლოსი"), ა. დიოდოროვი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები), ი. აიანიტოვი (იაკუტსკი, „შრომითი რეზერვები").

**57 კგ.** ა. ბელოგლაზოვი (კიევი, „დინამო"), რ. კარაევი (მახაჩყალა, შეიარაღებული ძალები), გ. ბაღდასარიანი (ერევანი, შეიარაღებული ძალები).

**62 კგ.** ს. ბელოგლაზოვი (კიევი, „დინამო"), ს. აიუბოვი (ჩერქეზსკი, „სპარტაკი"), ი. გრიგორიევი (ჩებოკსარი, „ტრუდი").

**68 კგ.** დ. გიგაური (თბილისი, „ბურევესტნიკი"), მ. ხარაჩურა (ჟდანოვი, „დინამო"), გ. იახიაევი (გროზნო, „სპარტაკი").

**74 კგ.** რ. ბადალოვი (გროზნო, „სპარტაკი"), ი. ვორობიოვი (მოსკოვი, „დინამო"), გ. მაკასარაშვილი (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

**82 კგ.** ტ. ძაგოევი (ჩერქესსკი, „სპარტაკი"), გ. დანკო (კიევი, „დინამო"), ვ. მოდოსიანი (კრასნოიარსკი, „დინამო").

**90 კგ.** ვ. ბატნია (კრასნოიარსკი, „დინამო"), ს. ოჰანესიანი (მოსკოვი, „სპარტაკი"), ა. ტავგაზოვი (ორჯონიკიძე, „სპარტაკი"),

**100 კგ.** ი. მატე (დონეცკი, შეიარაღებული ძალები), ა. ხადარცევი (ტაშკენტი, „შრომითი რეზერვები"), რ. ხუტაბა (სოხუმი, „დინამო").

**მძიმე წონა.** ს. ხასიმიკოვი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები), ზ. ბიგაევი (კიევი, შეიარაღებული ძალები), ჯ. ტარიელაძე (თბილისი, „დინამო").

გუნდური ჩათვლა: „დინამო" — 47 ქულა, შეიარაღებული ძალები — 41, „სპარტაკი" — 35.

**ო. შოშიტაშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

• • •

**სურათებზე: მიმდინარეობს დ. გიგაურის (ქვემოდან) და მ. ხარაჩურას ფინალური შეხვედრა. ქართველმა ფალავანმა ამ კრიტიკულ სიტუაციას იოლად დააღწია თავი, ერთქულიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა; ჩემპიონატის „ბრინჯაოს" პრიზიორები — გ. მაკასარაშვილი, რ. ხუტაბა, ჯ. ტარიელაძე.**

● ჭადრაკი

## ლიდერთა ტრიუმვირატი

**ქალაქ** ტურინში (იტალია) გრძელდება დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი. 9 ტურის შემდეგ ა. კარპოვს, ბ. სპასკისა და უ. ანდერსონს (შვეცია) 4,5-4,5 ქულა აქვთ 8-დან.

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა მას შემდეგ, რაც IX ტურში კარპოვმა მოუგო ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია), სპასკი და ანდერსონი ყაიმზე შეთანხმდნენ. ლ. კავალეკს (აშშ) მოგება მიეკუთვნა ტურნირიდან გასულ რ. ჰიუბნერთან (გფრ). ამ დღეს თავისუფალი იყო ლ. პორტიში (უნგრეთი), რომელმაც გადადებული პარტიების დამთავრებისას კავალეკს სძლია.

ლიდერებს მიჰყვებიან პორტიში — 3,5 (7-დან), ჰიუბნერი, კავალეკი—3,5-3,5 (8-დან), ლიუბოევიჩი — 3 (7-დან).

## პანორამა

### ● მხატვრული ტანვარჯიში

**არხანგელსკში** დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას" პრიზებზე მხატვრულ ტანვარჯიშში. მრავალჭიდში უძლიერესი იყო ჟუკოვსკელი ი. დევინა — 38,6. ასპარეზობაში 10 ქვეყნის 34 სპორტსმენი მონაწილეობდა.

### ● ავტოსპორტი

**კიევში** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპი საგზატკეცილო წრიულ ავტორბოლაში, პირველი ეტაპის ასპარეზობას რუსთავმა უმასპინძლა. ა. მედვედჩენკომ (უკრაინა) და ტ. ნაპამ (ესტონეთი), რომლებიც „ვოსტოკისა" და მესამე ფორმულის მანქანით გამოდიოდნენ, კვლავ იმარჯვეს და ვადამდე მოიპოვეს ოქროს მედლები. რაც შეეხება ა-2 კლასის მსუბუქი მანქანებით შეჯიბრებას, ამ ეტაპზე პირველობა მოიპოვა ნ. ბახრუმოვმა (რსფსრ). ბოლო ეტაპის რბოლა ორშაბათს რიგაში გაიმართება.

### ● საპლანერო სპორტი

**ორიოლის** საკავშირო დოსააფის საპლანერო კლუბის ცენტრალურ აეროდრომზე დასრულდა ქვეყნის 44-ე ჩემპიონატი პლანერიზმში. ასპარეზობაში 9 მოკავშირე რესპუბლიკისა და მოსკოვის კოლექტივები მონაწილეობდნენ. აბსოლუტური პირველობა მოიპოვა ლიტველმა ა. რუკასმა. ქალთა შორის უძლიერესი იყო ლ. კლიუევა (მოლდავეთი).

### ● მშვილდოსნობა

**ტალინის** ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე — „გაზაფხულის ისრები", რომელშიც 17 ქვეყნის 139 მშვილდოსანი მონაწილეობდა, ქალთა შორის იმარჯვა მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ნ. ბუტუზოვამ (მოსკოვი) — 2483 ქულა. მან 3 ქულით აჯობა მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს პ. მერილუოტოს (ფინეთი). ვაჟებში წარმატებას მიაღწია ბელგიელმა ვ. ვან დენ ბოშემ — 2492. გამარჯვებულს მისი თანაგუნდელი პ. დე კონინგი 5 ქულით ჩამორჩა, ხოლო ჩიტელი ვ. ეშეევი — 7 ქულით.

### ● მძლეოსნობა

**პრაღაში,** მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ი. კრატოხვილოვამ (ჩეხოსლოვაკია) კვლავ გამოიჩინა თავი: 100 მეტრი 11,23-ში, ხოლო 200 მეტრი — 22,36 წამში გაირბინა. იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონი ს. სიმეონი 192 სმ სიმაღლეს გადაევლო.

**დაკარში** სენეგალელმა მ. ფალუმ 225 სმ სიმაღლე გადალახა და აფრიკის რეკორდი დაამყარა.

**ათენში,** სადაც სექტემბერში ევროპის მორიგი პირველობა უნდა ჩატარდეს, ძლიერი სიცხის მიუხედავად ჰოლანდიელმა კლარენბეკმა 400 მეტრი 46,43-წამში გაირბინა. მასპინძელმა მირუდისმა 220 სმ სიმაღლე აიღო.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

**18-20 ივნისს**

თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართება მშთ კომპლექსის მრავალჭიდში „ლელოს" პრიზის გათამაშება ნებაყოფლობითი პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების ნაკრებ გუნდებს შორის. სარბიელზე გამოვლენ „ბურევესტნიკის", „განთიადის", „კოლმეურნეს", „ლოკომოტივის", „სპარტაკის" და სხვათა კოლექტივები.

**18 ივნისს** „ლოკომოტივის" სტადიონზე 16 საათზე მოეწყობა ამ შეჯიბრების საზეიმო გახსნა, შემდეგ გაიმართება რბენა და ხელყუმბარის ტყორცნა.

**მეორე დღეს** დილის 9 საათიდან საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სასროლეთი (ვაშლიჯვარში) მიიღებს კომპლექსის მრავალჭიდელებს პროგრამის მეორე სახეობაში — მცირეკალიბრიანი შაშხანით ასპარეზობაში, საღამოს კი, 17 საათიდან სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის" აუზში გაიმართება შეჯიბრებები ცურვაში.

მშთ კომპლექსის მრავალჭიდელთა შედეგები შეჯამდება **კვირას,** მას მერე რაც ისევ „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდება კროსი, რომელიც 10 საათიდან დაიწყება.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" 24-ე ტირაჟებისა, რომლებიც 12 ივნისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 6143 მანეთია, ოთხისთვის — 54, სამისთვის — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის — 179, სამისთვის — 9.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 23 ივნისიდან 23 ივლისის ჩათვლით.

საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ფედერაცია იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

**ჯანგირ კონსტანტინეს ძე თედეევი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-98; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08330